ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №571617

ნომერი: AR1111997

თარიღი : 25.02.2013

გაცემის თარიღი : 04.03.2013

გაცნობის თარიღი : 05.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა კაპანაძე პ/ნ 01008037746
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 61 კორ. 19 ბ. 54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.01.2013 წლის #520026 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 02/25/2013 წელს AR1111997 განცხადებით მომართა ნანა კაპანაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 31.01.2013 წლის #520026 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო მონაცემების შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის

სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის მიერ 31.01.2013 წლის #520026 გადაწყვეტილებით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები დამტკიცებულ იქნა #01.18.04.019.006 საკადასტრო კოდის მქონე, 146 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად.

დღეისათვის სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი და საკადასტრო კოდი. კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი გახდა 169 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი - #01.18.04.019.024;

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.01.2013 წლის #520026 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდეს -169 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი - #01.18.04.019.024;

2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.01.2013 წლის #520026 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (#01.18.04.019.024 სარეგისტრაციო #882013052616 12.02.2013)
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.01.2013 წლის #520026 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.